ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3042108

ნომერი: AR1466697

თარიღი : 26.12.2016

გაცემის თარიღი : 11.01.2017

გაცნობის თარიღი : 12.01.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მერაბ ალექსიძის ქუჩა N9 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქიჩირი ბასილაშვილი პ/ნ 40001001003
- თბილისი მ.კოსტავას ქ. N 71ა ბ. 16

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის 13.03.2014 წ. №1164813 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 26.12.2016 წ. №AR1466697 განცხადებით სამსახურს მომართა ქიჩირი ბასილაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 13.03.2014 წ. №1164813 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექურის სამსახურის 13.03.2014 წ. №1164813 გადაწყვეტილებით ქ.

თბილისში, მერაბ ალექსიძის ქუჩა #10-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით #01.10.13.040.046, მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის (სასტუმრო, ოფისები, კაფე–ბარები, მაღაზიები) განსათავსების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, სადაც დაფიქსირებულია შემდეგი სახის შენიშვნა: “1.- დაპროექტებისას გათვალისწინებული იქნეს კვარტალური უკვე არსებული პერიმეტრალური განაშენიანება შიდაკვარტალური ეზოს გათვალისწინებით, რომლის საფუძვლადაც შესაძლებელია გამოყენებული იქნეს – თანდართული სქემა (აკადემქალაქის მთელი ტერიტორიისთვის შენობა–ნაგებობების განთავსების და სატრანსპორტო ქსელის ჩვენებით); (იხ.დანართი)“. სამსახურის 07.08.2015 წ. №2054483 ბრძანებით შევიდა ცვლილება 13.03.2014 წ. №1164813 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში. წარმოდგენილი განაცხადით მოთხოვნილია 13.03.2014 წ. №2853758 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა და მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებიდან აღნიშნული შენიშვნის ამოღება.
სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებლად მიაჩნია შეიტანოს შესაბამისი ცვლილება 13.03.2014 წ. №1164813 გადაწყვეტილებაში.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ვინაიდან, სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელად მიაჩნია აღნიშნული ცვლილების ასახვა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 13.03.2014 წ. №1164813 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებიდან ამოღებული იქნას შემდეგი ჩანაწერი: „შენიშვნა: 1.- დაპროექტებისას გათვალისწინებული იქნეს კვარტალური უკვე არსებული პერიმეტრალური განაშენიანება შიდაკვარტალური ეზოს გათვალისწინებით, რომლის საფუძვლადაც შესაძლებელია გამოყენებული იქნეს – თანდართული სქემა (აკადემქალაქის მთელი ტერიტორიისთვის შენობა–ნაგებობების განთავსების და სატრანსპორტო ქსელის ჩვენებით); (იხ.დანართი)”;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისისარქიტექტურის სამსახურის 13.03.2014 წ. №1164813 გადაწყვეტილებასა და სამსახურის 07.08.2015 წ. №2054483 ბრძანებასთან ერთად;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.